ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.04.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 035/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2016 წლის 22 აპრილს საჩივრით მომართა ნ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. მ. იცავდა მის უფლებებს #---- სისხლის სამართლის საქმეში. ნ. თ.-ის მეუღლემ ადვოკატთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა ბრალდებულის დაცვას ყველა ინსტანციის სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თ. მ. საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის გარდა, ყოველ სასამართლო სხდომაზე დასასწრებად ითხოვდა დამატებით თანხას – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რასაც ნ. თ.-ის ოჯახი ადვოკატს უხდიდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის არაკვალიფიციური მომსახურების გამო მის მიმართ გორის რაიონულ სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, რაც თავად - მსჯავრდებულმა გაასაჩივრა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. გორის რაიონული სასამართლოდან ნ. თ.-ის საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნა ჭიანურდებოდა, მაგრამ ადვოკატი არ დაინტერესებულა აღნიშნულით. მომჩივანის არაერთი განცხადების შედეგად გორის რაიონული სასამართლოდან საქმე განსახილველად გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ადვოკატი საქმის აპელაციის წესით განხილვისას მხოლოდ ერთ პროცესს დაესწრო.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადვოკატი ხშირად მიდიოდა მასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსანახულებლად, დროთა განმავლობაში კი ვიზიტები შეწყვიტა. ნ. თ.-ს ასევე უჭირდა ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაცია. ადვოკატი თ. მ. ან მის ზარებს არ პასუხობდა, ან სხვები პასუხობდნენ მის ნაცვლად და მსჯავრდებულს ეუბნებოდნენ, რომ ადვოკატს არ ეცალა. განაჩენის დადგომის შემდეგ ადვოკატი თ. მ. პირდებოდა ნ. თ.-ის ოჯახს, რომ მსჯავრდებულს ციხიდან ერთ კვირაში, ერთ თვეში გაიყვანდა, თუმცა ეს დაპირებები უშედეგო აღმოჩნდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ინახავდა ოქროს ნივთებს, რომლის გამოც იყო დაკავებული. მან ადვოკატს მიასწავლა სამალავი და დაავალა აღნიშნული ოქროს ნივთების მესაკუთრისთვის გადაცემა, თუმცა ადვოკატმა თ. მ.-მ ნ. თ.-ს ურჩია, რომ ნივთები ჯერ არ დაებრუნებინათ მესაკუთრისთვის და საქმისათვის აჯობებდა, თუ თავად გადასცემდა მათ მესაკუთრეს. მოგვიანებით ადვოკატმა მის დაცვის ქვეშ მყოფს უთხრა, რომ ოქროს ნივთების გამოჩენას აზრი არ ჰქონდა, განაჩენი უნდა დამდგარიყო და ნივთებს შეინახავდა. ნ. თ.-ს იმ პერიოდში არ ჰქონდა სხვა პირებთან შეხვედრის ან დარეკვის უფლება და ამის გამო ვერავის სთხოვა ნივთების დაბრუნება,გარდა ადვოკატ თეიმურსაზ მაგრაქველიძისა. მომჩივანის განმარტებით, ოქროს ნივთები დღემდე ადვოკატთან ინახება.

1.7 ეთიკის კომისიაში 2016 წლის 26 დეკემბერს შემოსული ნ. თ.-ის წერილობითი განმარტების თანახმად, ადვოკატმა თ. მ.-მ მისი მოთხოვნის მიუხედავად არ დაუბრუნა მას მისი კუთვნილი ოქროს ნივთები, რომლის ღირებულებაც 20 273 (ოცი ათას ორას სამოცდაცამეტი) ლარს შეადგენდა. ნ. თ.-ის განმარტებით ადვოკატმა ნივთები გაყიდა და თანხა მიითვისა, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფ პირს პერიოდულად მცირე ოდენობის თანხებს ურიცხავდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. მ.-მ 2016 წლის 10 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ იგი ნ. თ.-ის საქმეში ჩართო მისი დაკავებიდან 4-5 თვის შემდეგ. ნათოა თოდაძეს ჰყავდა ადვოკატი ზ. რ. და ადვოკატმა თ. მ.-მ ადვოკატ ზუბრა როსტიაშვილთან ერთად განაგრძო ბრალდებულის დაცვა.

2.2 ადვოკატის განმარტებით ნ. თ.-სთან არ ყოფილა გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ნ. თ.-ის დაცვის თაობაზე ადვოკატს ბრალდებულის მეუღლე შეუთანხმდა. ნ. თ.-ის მეუღლემ ადვოკატს თანხა გადასცა ნაწილ-ნაწილ, რომელმაც ჯამში შეადგინა 300 (სამასი) ლარი. აღნიშნული თანხა განისაზღვრა მსჯავრდებულის

მოსანახულებლად გაწეული ხარჯების დასაფარავად. თ. მ.-ის განცხადებით, სხვა თანხა კლიენტის ოჯახის წევრებისგან არ მიუღია. ის ნ. თ.-ს დაკავებამდეც იცნობდა და სურდა, როგორც ნაცნობსა და მეგობარს, კეთილი ნების საფუძველზე, საადვოკატო მომსახურების საზღაურის მიღების გარეშე დახმარებოდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, რამდენჯერმე შეხვდა ნ. თ.-ს ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადვოკატი იცავდა ბრალდებულის ინტერესებს გამოძიების ეტაპზე, გორის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ის უკვე აღარ მონაწილეობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში. ადვოკატის განმარტებით საკასაციო ეტაპზე მას აღარ ევალებოდა მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან დაათვალიერა ნ. თ.-ის მიერ მითითებული ადგილი სადარბაზოში, სადაც მსჯავრდებულის განცხადებით, უნდა ყოფილიყო ოქროს სამკაულები, თუმცა იქ ვერაფერი აღმოაჩინა. ადვოკატის განცხადებით, მისი საქმეში ჩართვიდან 05-06 თვე იყო გასული და ალბათობა იმისა, რომ ნ. თ.-ის მიერ შენახული ოქროს სამკაულები იგივე ადგილას აღარ ინახებოდა მაღალია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის ყოველთვის უკავშირდებოდა და ესაუბრებოდა ბრალდებულს მის მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელების პერიოდში. ასევე ნ. თ.-ს ხშირად ურიცხავდა საკუთარ თანხას, რაც მას შვილის გამოსაკვებად ან სხვა ხარჯების დასაფარად ესაჭიროებოდა.

3. მოწმის პოზიცია:

ეთიკის კომისიის ინიციატივით გამოკითხული მოწმის ადვოკატ ზ. რ.ს 2016 წლის 28 დეკემბრის წერილობითი განმარტების თანახმად, ადვოკატმა თ. მ.-მ გამოძიების ეტაპიდან დაიწყო ნ. თ.-ის დაცვა და იცავდა მას როგორც გორის რაიონულ სასამართლოში, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც. ადვოკატი თ. მ. ნ. თ.-ის მეუღლის მიერ იყო დაქირავებული. მოწმის განმარტებით, მისთვის უცნობია საადვოკატო მომსახურების შეთანხმების საგანი, ასევე ვისი ინიციატივით შეწყვიტა ადვოკატმა ნ. თ.-ის საადვოკატო მომსახურება ან რატომ გაუჩნდა ნ. თ.-ს პრეტენზია ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ.

IV სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი თ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

4.2 ნ. თ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2016 წლის 22 აპრილს.

4.3 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის

32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. მ.-მ არ დაიცვა ნ. თ., საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა ნ. თ.-ის დაცვა, რამდენიმე თვეა არ უკავშირდება კლიენტს და არც თავად ნ. თ.-ს აძლევს მასთან დაკავშირების საშუალებას, არ დაუბრუნა კლიენტს მისი კუთვნილი ოქროს ნივთები.

6.2 ადვოკატი თ. მ. იცავდა ბრალდებულ ნ. თ.-ს, როგორც შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი საქმის გამოძიებისა და სასამართლო წესით განხილვისას.

6.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ არ დაიცვა ნ. თ., საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა ნ. თ.-ის დაცვა, რამდენიმე თვეა არ უკავშირდება კლიენტს არც თავად ნ. თ.-ს აძლევს მასთან დაკავშირების საშუალებას, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.3.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

6.3.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–2 ნაწილი: ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით...“

6.3.3 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.3.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.3.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ.“

6.3.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლების ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

6.4 სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

6.5 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №022/11 მიუთითა: „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე

ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ კლიენტმა და ადვოკატმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ."

6.6 ეთიკის კომისიის მიერ გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გამოძიების ეტაპზე ნ. თ.-ს არ ჰყავდა ადვოკატი. 2013 წლის 21 ივლისს დააკავეს ბრალდებული, რომლის პირად ჩხრეკასა და დაკითხვას არ დასწრებია ადვოკატი. (2013 წლის 21 ივლისის ბრალდებულის დაკავებისა და ჩხრეკის, დაკითხვის ოქმის თანახმად ნ. თ.-ს ადვოკატი არ ჰყავს); 2013 წლის 23 ივლისს შსს გორის რაიონული სამმართველოს გამომძიებელმა ბადრი ნაზარაშვილმა ბრალდებულ ნ. თ.-ის მონაწილეობით ჩაატარა დათვალიერება, რაშიც მონაწილეობა არ მიუღია ადვოკატს. (2013 წლის 23 ივლისის დათვალიერების ოქმი); 2013 წლის 23 ივლისს ბრალდებული დამატებით დაიკითხა, ამ პროცედურაშიც ნ. თ. მონაწილეობდა დამცველის გარეშე, რაც დასტურდება 2013 წლის 23 ივლისის დაკითხვის ოქმით, ასევე გამომძიებლისა და ბრალდებულის ხელწერილებით. იმავეს ადასტურებს 2013 წლის 24 ივლისს შედგენილი ნიმუშის აღების ოქმიც.

6.7 2013 წლის 23 ივლისს საქმეში ჩაერთო ადვოკატი ზ. რ., რაც დასტურდება N51 ორდერით. ორდერის თანახმად, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენს ნ. თ.-ის ინტერესების დაცვა გამოძიების ეტაპზე, სასამართლო ინსტანციებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. 2013 წლის 23 ივლისის დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ ნ. თ.-სთან ერთად ხელს აწერს მისი ადვოკატი ზ. რ.. 2013 წლის 23 ივლისს შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლას ესწრება ადვოკატი ზ. რ. (2013 წლის 23 ივლისის ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ); 2013 წლის 24 ივლისის ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული განჩინებით ირკვევა, რომ ბრალდებულების - ვ. ლ.-ისა და ნ. თ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ზ. რ.. 2013 წლის 01 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და დაუშვებლად ცნო ბრალდებულების - ნ. თ.-ისა და ვ. ლ.-ის ადვოკატის ზ. რ.ს საჩივარი.

6.8 ნ. თ.-ის საქმეში ადვოკატი თ. მ. ჩაერთო 2013 წლის 08 აგვისტოს, რაც დასტურდება ორდერით N04. ორდერით გათვალისწინებული დავალების ფარგლები მოიცავდა ნ. თ.-ის ინტერესების დაცვას გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში. საქმის მწარმოებელი ორგანო - შიდა ქართლის შსს სამმართველო და პროკურატურა. 2013 წლის 08 აგვისტოს ბრალდებულ ნ. თ.-ის დაკითხვას ესწრებოდნენ ადვოკატები ზ. რ. და თ. მ. (ბრალდებულის დაკითხვის 2013 წლის 08 აგვისტოს ოქმი); 2013 წლის 04 სექტემბერს შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ შედგენილ ოქმში მონაწილე პირად დასახელებულია ადვოკატი თ. მ.; 2013 წლის 03 სექტემბერს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა ჩაიბარეს ადვოკატებმა -ზ. რ.-მა და თ. მ.-მ, რასაც ადასტურებს ადვოკატების მიერ დაწერილი ხელწერილი.

6.9 ქ. გორის რაიონულ სასამართლოში 2013 წლის 12 სექტემბრის წინასასამართლო სხდომასა და 2013 წლის 23 სექტემბერს გამართულ სასამართლო სხდომას ესწრებოდა ადვოკატი თ. მ., როგორც ნ. თ.-ის დამცველი (ქ. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 სექტემბრის წინასასამართლო სხდომის ოქმი, 2013 წლის 23 სექტემბერის სასამართლო სხდომის ოქმი); ქ. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 09 ოქტომბრის სხდომაზე ბრალდებულს იცავდა მხოლოდ ადვოკატი

ზურაბ როსტაშვილი (ქ. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 09 ოქტომბრის სხდომის ოქმი); ქ. გორის რაიონულ სასამართლოში გამართულ ყველა სხვა სასამართლო პროცესს ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილთან ერთად ესწრებოდა ადვოკატი თ. მ. (2013 წლის 29 ოქტომბრის, 2013 წლის 14 ნოემბრის, 2013 წლის 16 დეკემბრის, 2014 წლის 14 იანვრის, 2014 წლის 23 იანვრის, 2014 წლის 11 თებერვლის, 2014 წლის 04 მარტის, 2014 წლის 18 მარტის, 2014 წლის 26 მარტის, 2014 წლის 01 და 13 აპრილის სხდომების ოქმები); ადვოკატმა თ. მ.-მ ქ. გორის რაიონულ სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბერს შუამდგომლობით მიმართა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნ. თ.-ისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე. 2014 წლის 13 აპრილს ქ. გორის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენში მსჯავრდებულის ადვოკატებად დასახელებულნი არიან ზ. რ. და თ. მ.. 2014 წლის 22 აპრილს ნ. თ.-მ დაწერა სააპელაციო საჩივარი, სადაც ითხოვდა გამოყენებული სასჯელის ზომის შემცირებას. 2014 წლის 29 აპრილს კი ადვოკატებმა ზ. რ.-მა და თ. მ.-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 აპრილის განაჩენი. 18 იანვრის, 08 თებერვლის ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის სხდომის ოქმში მსჯავრდებულის ინტერესების დამცველებად კვლავ ადვოკატები - ზ. რ. და თ. მ. არიან დასახელებულები. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზ. რ.-მა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაია თეთრაულს მიმართა განცხადებით, რომლის საგანსაც წარმოადგენდა ვ. ლ.-ისა და ნ. თ.-ის ბრალდების საქმეზე არსებული სასამართლოს სხდომის ოქმების გაცნობა. სააპელაციო სასამართლოში გამართულ დანარჩენ სასამართლო პროცესებზე ბრალდებულ ნ. თ.-ის ინტერესებს წარმოადგენს მხოლოდ ადვოკატი ზ. რ. (2016 წლის 29 თებერვლის N997, 2016 წლის 28 მარტის N997 და 2016 წლის 26 აპრილის N1ბ-997-15 სხდომების ოქმები); 2016 წლის 29 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე ბრალდებული ნ. თ. პასუხობს, რომ მისთვის უცნობია მიზეზი, თუ რატომ არ გამოცხადდა ადვოკატი თ. მ. სხდომაზე, თუმცა იგი თანახმაა სასამართლომ საქმე ადვოკატ თ. მ.-ის მონაწილეობის გარეშე განხილოს.

6.10 ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განაჩენი N1ბ/997-15 საქმეზე საკასაციო წესით გაასაჩივრა ადვოკატმა ზ. რ.-მა (2016 წლის 18 მაისის N4395 საჩივარი). საქმის მასალების მიხედვით მოცემულ პერიოდში მსჯავრდებულის უფლებებს იცავდა ადვოკატი ზ. რ., ხოლო ადვოკატი თ. მ. აღარ ფიგურირებს ნ. თ.-ის საქმეში.

6.11 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, მანამ სანამ მსჯავრდებულს ჩაბარდებოდა ქ. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ის ხშირად მიმართავდა სხვადასხვა ორგანოებს (იხ. ნ. თ.-ის განცხდება მოსამართლე შალვა კაკაურიძის მიმართ, სადაც მსჯავრდებული ითხოვს მიაწოდონ ცნობები იმის შესახებ, თუ როდის გადაეგზავნება მისი საქმე ქ. თბილისის სააპელაცო სასამართლოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნ. თ.-მ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. ასევე 2015 წლის 13 თებერვალს მსჯავრდებულმა განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ქ-ნ ეკა ბესელიას). მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებებში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხის გამო მისმა ადვოკატებმაც არაერთხელ მიმართეს ქ. გორის რაიონულ სასამართლოს. საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის გაჭიანურების მიმართ ადვოკატების უმოქმედობაზე ნ. თ. არავითარ პრეტენზიას გამოთქვამდა ადვოკატების მიმართ, თუმცა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში

პირიქით, ადვოკატ თ. მ.-ს უმოქმედობაში ადანაშაულებს, როდესაც გორის რაიონული სასამართლო აჭიანურებდა განაჩენის წერილობითი ფორმით მომზადებას.

6.12 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს, რომ ადვოკატის ქმედებები გამოძიების ეტაპიდან ქ. გორის რაიონული სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის ჩათვლით, მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი თ. მ., წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სისხლის სამართლის საქმე 2 ტომად) დგინდება, რომ ის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

6.13 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე #026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

6.14 ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.”

6.15 ადვოკატ თ. მ.-ის მიერ ნ. თ.-ის დაცვის შეწყვეტასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.-ის მიერ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი. ადვოკატის მიერ დაცვის შეწყვეტა გამოწვეული იყო შეთანხმების საგნის შესრულებით. ნ. თ.-ის მეუღლესა და ადვოკატ თ. მ.-ს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება. ადვოკატის განმარტებით, შეთანხმების თანახმად მას უნდა დაეცვა ნ. თ. გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას. ადვოკატის განმარტებას ადასტურებს სისხლის სამართლის საქმეში არსებული 2013 წლის 08 აგვისტოს ორდერი N4, რომლის თანახმად ადვოკატი იცავს ნ. თ.-ის ინტერესებს გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში. საქმის მწარმოებელი ორგანო - ქართლის შსს სამმართველო და პროკურატურა. შესაბამისად, ადვოკატ თ. მ.-ს არ ევალებოდა მსჯავრდებულ ნ. თ.-ის დაცვა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2016 წლის 29 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე ბრალდებული ნ. თ. პასუხობს, რომ მისთვის უცნობია მიზეზი, თუ რატომ არ გამოცხადდა ადვოკატი თ. მ. სხდომაზე, თუმცა იგი თანახმაა სასამართლომ საქმე ადვოკატ თ. მ.-ის მონაწილეობის გარეშე განხილოს. ადვოკატი ზ. რ. აგრძელებს ნ. თ.-ის დაცვას. შესაბამისად,

კლიენტის ინტერესს ზიანი ადვოკატ თ. მ.-ის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო არ მისდგომია და კლიენტიც თანახმა იყო საქმის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო.

6.16 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას გამოეგზავნა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ნ. თ.-სთან ადვოკატ თ. მ.-ის ვიზიტების თარიღები, რომლითაც დგინდება, რომ ადვოკატმა თ. მ.-მ შემდეგ თარიღებში მოინახულა დაცვის ქვეშ მყოფი ნ. თ.: 2013 წელი: 8, 9, 13, 15, 16, 22, 27 აგვისტო; 9, 13, 26 სექტემბერი; 8, 11, 16, 22, 28, 30 ოქტომბერი; 12, 19, 26 ნოემბერი; 3, 10, 11, 18, 30 დეკემბერი; 2014 წელი: 6, 15, 20 იანვარი; 10, 14, 25 თებერვალი; 10, 21 მარტი; 1, 16, 28, 30 აპრილი; 14, 19, 30 მაისი; 9 ივნისი; 2015 წელი: 12, 21 ოქტომბერი. ასევე, ეთიკის კომისიამ გამოითხოვა მსჯავრდებულ ნ. თ.-ის სახელზე „ლიბერთი ბანკში“ არსებულ ანგარიშზე არსებული ფულადი გზავნილების ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით, ადვოკატ თ. მ.-ის საბანკო ანგარიშიდან მსჯავრდებულ ნ. თ.-ის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა შემდეგი ოდენობის თანხა: 2013 წლის 09 დეკემბერს - 40 ლარი; 2013 წლის 30 დეკემბერს - 50 ლარი; 2014 წლის 06 მარტს - 30 ლარი; 2014 წლის 04 აპრილს - 30 ლარი; 2014 წლის 24 აპრილს - 30 ლარი; 2014 წლის 22 მაისს - 40 ლარი; 2014 წლის 16 ივნისს - 25 ლარი; 2014 წლის 29 ივნისს - 20 ლარი; 2014 წლის 20 ივლისს - 40 ლარი; 2014 წლის 29 ივლისს -20 ლარი; 2014 წლის 04 აგვისტოს - 20 ლარი; 2014 წლის 08 აგვისტოს - 20 ლარი; 2014 წლის 29 აგვისტოს - 15 ლარი; 2014 წლის 10 ოქტომბერს - 20 ლარი; 2014 წლის 12 ნოემბერს - 25 ლარი; 2015 წლის 25 მარტს - 20 ლარი; 2015 წლის 07 აპრილს- 30 ლარი; 2015 წლის 12 მაისს - 25 ლარი; 2015 წლის 20 მაისს - 30 ლარი; 2015 წლის 01 ივნისს - 25 ლარი; 2015 წლის 09 ივნისს - 30 ლარი.

6.17 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს ნ. თ.-ის პრეტენზიას, რომ ის ვერ უკავშირდება ადვოკატს და არც ადვოკატი უკავშირდება მას საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ვინაიდან ადვოკატ-კლიენტის შეხვედრების ამონაწერით დასტურდება, რომ საადვოკატო მომსახურების განხორციელების დროს ადვოკატ თ. მ.-ს უწყვეტი კომუნიკაცია აქვს კლიენტთან.

6.18 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან, ადვოკატისთვის გადაცემული ოქროს ნივთების დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილების შესაძლო დარღვევაზე, რომლის თანახმად ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.19 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ თავად ნ. თ.-ის განმარტებანი ადვოკატისთვის ოქროს ნივთების მინდობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა, კერძოდ თავდაპირველ საჩივარში ნ. თ. განმარტავდა, რომ მან ადვოკატს მიასწავლა ოქროს ნივთების სამალავი და დაავალა ოქროულის მესაკუთრისთვის გადაცემა, თუმცა ადვოკატმა თ. მ.-მ ნ. თ.-ს ურჩია, რომ ოქროს ნივთები ჯერ არ დაებრუნებინათ მესაკუთრისთვის და საქმისათვის აჯობებდა, თუ თავად გადასცემდა ნივთებს მესაკუთრეს. მოგვიანებით ადვოკატმა კლიენტს უთხრა, რომ ნივთების გამოჩენას აზრი არ ჰქონდა, განაჩენი უნდა დამდგარიყო და ნივთებს შეინახავდა. ნ. თ.-ს იმ პერიოდში არ ჰქონდა სხვა

პირებთან შეხვედრის ან დარეკვის უფლება და სხვას ვერ სთხოვდა ნივთების მესაკუთრისთვის დაბრუნებას. მომჩივანის განმარტებით, ოქროს ნივთები დღემდე ადვოკატთან ინახება. ეთიკის კომისიაში 2016 წლის 26 დეკემბერს შემოსული ნ. თ.-ის წერილობითი განმარტების თანახმად, ადვოკატმა თ. მ.-მ მისი მოთხოვნის მიუხედავად არ დაუბრუნა მას მისი კუთვნილი ოქროს ნივთები, რომლის ღირებულებაც 20 273 (ოცი ათას ორას სამოცდაცამეტი) ლარს შეადგენდა. ადვოკატმა ნივთები გაყიდა და თანხა პირადი მიზნებისთვის გამოიყენა, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფ პირს პერიოდულად მცირე ოდენობის თანხებს ურიცხავდა. ადვოკატი ეთანხმება კლიენტს, რომ მან მართლაც დაათვალიერა ნ. თ.-ის მიერ მითითებული ადგილი სადარბაზოში, სადაც მსჯავრდებულის განცხადებით, უნდა ყოფილიყო ოქროს ნივთები, თუმცა იქ ვერაფერი აღმოაჩინა. ადვოკატის განცხადებით, მისი საქმეში ჩართვიდან 05-06 თვე იყო გასული და ალბათობა იმისა, რომ ნ. თ.-ის მიერ შენახული ოქროს სამკაულები იგივე ადგილას აღარ ინახებოდა მაღალია. ნ. თ.-ს საჩივრისა და ახსნა-განმარტების გარდა, ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ ოქროს სამკაულების შენახვას და კლიენტისთვის დაუბრუნებლობას არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადვოკატ თ. მ.-ის მიერ მინდობილი ქონების კლიენტისათვის დაუბრუნებლობა ან არამიზნობრივი გამოყენება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–2, მე–5, მე–6, მე–7, მე–15 ნაწილებით; 32–ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე #035/16 ადვოკატ თ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/